

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ: პაატა ქურდოვანიძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი,
პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. ვეჩიკო ვეზაძე 02001000296
აბაშა, ს. ნოჩო, სვეზაძის ქ. მე-3 №33. 593 674670
2. მახინა ლაბაჩიძე 02001003893
აბაშა, ს. მახინა, ქ. 24 №14. 595 755431 ;
3. ნინო ლაბაჩიძე 02001013060
აბაშა, ს. მახინა, ქ. №24 №7. 557 254731.

პეტიცია

სასმელი წყლის კაპიტალური ავზის მოწყობა და მოსახლეობისათვის
მიწოდების უზრუნველყოფა

გვინდა მოგახსენოთ, რომ ბოლო პერიოდში სამეგრელოს ბევრ მუნიციპალიტეტში არის წყლის პრობლემა, რადგან სოფლის მოსახლეობას არ აქვს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა და ასევე ქის წყალი არ არის საკმარისი, რის გამოც ზაფხულის პერიოდში სასმელი წყლის გარეშე რჩებიან. სოფლის მოსახლეობას უწევს რამოდენიმე კილომეტრის გავლა წყლის მოსატანად. კერძოდ: სოფ. მარანი, სუჯუნა და ზანათი დარჩენილია წყლის გარეშე. მოსახლეობა საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის იყენებს მდინარის წყალს, რაც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უმოკლეს დროში უზრუნველყოთ აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სოფლებში (მარანი, სუჯუნა და ზანათი) სასმელი წყლის კაპიტალური ავზის მოწყობა და მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ვეჩიკო ვეზაძე ვეჩიკო
2. მახინა ლაბაჩიძე მ. მახინა
3. ნინო ლაბაჩიძე ნინო

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 16 იანვარი 2017 წელი